



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

24 ივნისი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №78

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლებისა და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემდეგ საჯარო მოსამსახურეებს:

ა) გიორგი ჩილაჩავას – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) რუსუდან გიორგაძეს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

გ) ქეთევან კვაჭანტირაძეს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან დემოკრატები“-ს თავმჯდომარის თანაშემწეს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

დ) მაია ლუცენკოს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამლაგებელს - 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ე) ვერიკო ვაშაკიძეს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამლაგებელს - 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ვ) ეკა ნანავას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კურიერს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ზ) არჩილ ღლონტს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის ექსპერტს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

თ) ნონა მდივანს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ქსელური მომსახურების ადმინისტრატორს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ი) მაია ნარსიას - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მდივან-რეფერენტს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

კ) მიხეილ შილაკაძეს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის ექსპერტს – 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის.ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი